



თეატრი

საქართველ კვირამ სალიტერატურო და სახეატვრო გაზეთი

1889 წელსა

№ 14

პარილი 30

გაზეთი ღირს: ერთს წლ. 5 მან.,
ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე №-15 გ.
ხელის მოწერა მიიღება: თბილის-
ში რედაქციის განცხორაში. Тип-
листь, въ редакцію газеты
"ТЕАТРЪ." გაზეთი ისყიდება:
თბილისში, ჩარკვიანის წიგნის მა-
ღაზიაში და ბეზუოვის სააგენტოში.

რედაქცია არა კისრელობს წერი-
ლების უკან გაგზავნას და მათ
შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბუქდათ გამოგზავ-
ნილ წერილებს უნდა ჰქონდეს მო-
წერილი სახელი, გვარი და ად-
რესი დამწერისა.

ასალი ამბები

ბანკის გამგეობა ცდილობს ჯამაგირები მოუმატოს ბუჰალტერებს: ფელენიშვილს უნიშნავენ 2000 მან. წელიწადში, მირზაშვილს და ტერ-მინასოვს თითოს 1200 მან. გამგეობამ მოახსენება უკვე გარდასცა ზედამხედველ კომიტეტს. თუ ამ წლის კრებამ ეს წინადადება დაამტკიცა, დარწმუნებული უნდა იყუოთ, შემდეგ წლებში გამგეობა აღძრავს კითხვას ჯერ დირექტორების—და მცრმე თავმჯდომარის ჯამაგირების მომატებაზე... სამართლიანათაც მოიქცევიან! ბუჰალტერსაც ორასი თუმანი ჰქონდეს ჯამაგირი და დირექტორსაც და, როცა დარექტორებს მოუმატებენ—დირექტორებსაც სამასი თუმანი ჰქონდეთ (როგორც პირველ ნაბიჯს ეტყობა დირექტორები სამას სამას თუმანს მოითხოვენ) და თავმჯდომარესაც?!

ღაახ, ბატონებო! ამ ამბავს ნუ დაფიქსებთ და შემდეგ წლებში ენახეთ, რამდენად მართალი გამოდგება ეს ჩვენს წინასწარ თქმა.

ხმები ისმის ვითომ რამდენიმე კლასი სააზნაურო სკოლისა უნდა დაკეტონ ფულის უქონლობის გამო. თუ ეს ხმები გამართლდა, მაშინ ყველას ნება აქვს თავში ჩაგვიფიქროს, როგორც საძაგელ ხალხს. მართლა და ჩვენზე უბედური ხალხი იქნება-ლა სადმე? — ბანკის ბუჰალტერებს, რომლებიც უამისოთაც ღიდ ჯამაგირებს იღებენ (10 საათიდან 2 საათამდე სხედან ბანკში და ამაში 1000—1500 მან. იღებენ დიდიდენტის გარდა) — კიდევ ვუმატებთ; ამის გარდა ყოველ წელიწადს ბანკის მოსამსახურეები იყოფენ ათასს და მეტს თუმანს და სკოლას-კი ვეუბნებით ფული არა გვაქვს და კლასები დაკეტეთო.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ბევრი მომხრე ეყოლება ბუჰალტერების ჯამაგირების მომატებას და კლასების დაკეტვას და იქნება კიდევ დაამტკიცონ ეს პროექტები: ბანკის გამგეობას მაშინ უჭირს თავისი სიტყვის გაყვანა, როდესაც რომელიმე პროექტი ყველა მათგანისათვის არ არის სასარგებლო. თორემ ესლა არა გვგონია, გაუჭირდეს: შეერთდებიან თითონ, შეცერთებენ თავის ნაცნობ-მეგობარ-ნათესაებს, ამათ მიემატებიან ბუჰალტერების ასეთივე მოკეთენი და სხვა ხომ თითქმის აღარც-კი დარჩება ვინმე კრებაზე... მაშასადამე პროექტი დამტკიცდა!

ჩვენი ბანკის საქმე იცარება თან-და-თან, მაგრამ არც კი „Новое Обозрение“-ს რედაქციის საქმე არის კარგად-მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ეს გაზეთი საინტერესო იყო მარტო ნიკოლაძის, დავით სოსლანის და ხონელის ნაწერებით. ამ თანამშრომლებთაგან — სოსლანმა ორი თვეა რაც თავი დაანება თანამშრომლობას; ხონელი ამ თვის ნახევრიდან გააქციეს. დარჩა ბ-ნი ნიკოლაძე.

ამ რედაქციის ბატონი — უსპენსკი თურმე ასე ბძანებს: „**Н. Ог.**“ რუსული გაზეთია და რუსებშიც კარგათ მოეუფლით, ქართვე-

ლებს რა ხელი აქეთო და ამისათვის ვერ ურიგდებოდა ქართველ თანამშრომლებს.

ბ-ნ ნიკოლაძეს თავისი რედაქტორი უსპენსკი ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, მაგრამ არა გვერნია, რომ ვილაც „ატსტაენოი ყაზახმა“ (არ ვიცით მართლა „ატსტაენოი ყაზახია“ თუ არა, მაგრამ ძალიან-კი ჰგავს ყველაფრით) სოსლანის და ხონელის ოდნობა გაუწიოს!

რ ა ა რ ი ს კ ო ლ ი ტ ი კ ა ?

(პატარა მოთხრობა დიდის აშპისა)

გადავწყვიტეთ შეგვედგინა პატარა წრე-ცალ-ცალკე ყოფნა მოგვებზრდა და, რადგან ჩვენი ინტერესები ერთგვარები იყო... დანარჩენს მიხედვით. ჩვენ ვიყავით ოთხნი: მე, ცუნ-კრუკაძე, ტვინთხელაძე და ყურყუტი.

საქმე დაწყობა იყო, თორემ შემდეგ ყველა ჩვენი ნაცნობი, მეგობარი შემოვიდოდა ჩვენს წრეში. არა, რატომაც არ უნდა შემოსულიყვნენ? ცუდი მოთავეები ვიყავით თუ?

ამოვიჩინეთ შესაკრევათ ცუნკრუკაძის სადგომი. დაედოდი, ესჯიდი, ებაასობდით. ორი თვის განმავლობაში შევადგინეთ ორი მუხლი ჩვენის წრის წესდების პროექტისა. კრებას ვიწყობდით ჩაით და ვათავებდით ვაშლით, თხილით, წაბლით და სხვ. ჩვენს პატარა წრეს დღითი-დღე ემატებოდა წევრები: მოგვეყვანდა ნაცნობები და მეგობრები. ცუნკრუკაძემ შოიყვანა ვილაც ქერა ვაჟი, ხმელ.ხმელი, ბეცის სათვალეებიანი. მეგობრულად დაპკრა მხარზე ხელი და გეითხრა, ალბათ ხუმრობით:

— ყმაწვილებო! ამას ასე კი ნუ უყურებთ, ეს თუქცა სახით ურიასა ჰგავს, მაგრამ ურია ნუ გვერნებთ, მე და ეს ერთად ვმსახურობთ და დიდი მეგობრებიცა ვართ; მე თუქცა

ამაზე დიდი ადგილი მიჭირავს, მაგრამ ეს ისევე არის ჩემთვის საჭირო, როგორც მე ამისათვის, ამიტომ ეს დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს წრეს. ეს არის ქართველი—ფლავაშვილი.

მოიყვანა მეორე, გვითხრა ისევე ხუმრობით: თუმცა ეს ბატონი ვაკოტრებულ თათარსა ჰგავს და გვარიც იქნა აქვს, მაგრამ ნამდვილი ქართველი აზნაურია. ესეც ჩემთან მსახურობს, ამასაც კრებაზე კენჭი აქვს... ოღონდ ამას არგე რამე და, თუ გინდ ასჯერ დაიფიცავს, რომ თითონ აღამიანი არ არის. ესეც საჭირო კაცია. ეს გახლავთ მურზაშვილი.

ჩვენ რასაკვირველია გაგეინხარდა წვერების მომატება. ამის შემდეგ ბევრი და მრავალი მოემატა ჩვენს პატარა წრეს.

თუმცა ეს წრე შესდგებოდა ისეთი წვერებისაკან, რომლებზედაც შეიძლებოდა ეთქვათ: ვინ იცის რომელი საძრომელადამ არიანო, მაგრამ, ამას ყურს არ ეუვლებდით, რადგან ჩვენ გვეერთებდა ერთი და იგივე საგანი: ჩვენ გვინდოდა ჩვენი აზრები გაგვეყვანა, სამსახურში ისე გვემოქმედნა, როგორც ჩვენთვის იყო სასარგებლო...

ყველას თითო ვარამი ჰქონდა. ქერა, არა ურია, ამბობდა:

— ეს რამდენი წელიწადია სამსახურში ვარ და არ იქნა იმდენი ჯამაგირი არ დამინიშნეს, რამდენიც მე მინდა. არა მყოფნის... თუ ამ წრეს ჩემი წვერობა უნდა და საჭირო კაცად მივაჩნივარ, უნდა ეცადოს, რომ ჯამაგირი მომიმატონ. თორემ აბა რა არის ჩემი ცხოვრება? მე თქვენ გკითხავთ, აბა რა არის ჩემი ცხოვრება?

ჩაი დაეღივა. ცარიელი სტაქნის წინ იჯდა და აბა პასუხს ვინ მისცემდა ამ კითხვაზე.

აზნაური მუდამ გაიძახოდა: ჯამაგირი თუნდ კიდევ დამიკლონ, ოღონდ მამულების მოურაფობა მომცენ, თორემ რა უნდა იყოს, რომ კაცს აქეთ-იქიდანაც არა ჰქონდეს შემოსავალი?!

ცუნცრუკაძე სულ იმის ფიქრში იყო, როგორ მოქცეულიყო, რომ ყველას კარგ კაჭკაჭად ეღვიარებინა. სოფელში ერთი ძმა ჰყვანდა, რომელიც არც სადილს იშურებდა, არც ვახშამს, ოღონდ გავლენიან პირებისათვის ჩაგონებინა, რომ იმისი ძმა ძალიან ჭკვიანი, ძალიან გამჭრიახი და ძალიან საჭირო კაცი იყო საქართველოსათვის. ამით უნდოდა თავისი ძმისათვის ჩივლებინებინა თავმჯდომარეობა იმ დაწესებულებისა, სადაც ის, კაჭკაჭი, მსახურებდა.

ღიახ, ყოველი საღამო იწყობოდა ამ სამი ბატონის „ჩივებით“ და ყველა მათგანი იმას ტიროდა რაც ზევეთა ეთქვი.

ერთხელ ერთი წევრთავანი, ბ-ნი გასწორაძე, წამოდგა და სთქვა:

— ჩვენ აქ მოგვიწვიეთ იმიტომ კა არა, რომ ბ. ბ. ფლავაშვილის, მურზაშვილის და ცუნცრუკაძის ჯიბეების გატენაზე ვბაასობდეთ და ვცდილობდეთ... მე მოვედი აქ მივიღო მონაწილეობა იმ... საზოგადო საქმის პროექტის შედგენაში. თუ კრება ინებებს და წესდების პროექტზე ვილაპარაკებთ ხომ რა კარგი, თუ არა და მშვიდობით. მე მივდივარ. სამმა ნაცნობმა გმირმა გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ არაფერი-კი თქვეს. დანარჩენებმა-კი (თორმეტი წევრი იყო) ყველამ ტაში დაუკრეს გასწორაძეს და... გადაწყვიტეს პროექტზე გველაპარაკნა. დაეიწყეთ:

«მესამე მუხლი: ყოველი წევრი ჩვენის წრისა მოვალეა გააერცელოს საქართველოში წიგნ“....

— ... გააერცელოს საქართველოში ხმა, რომ ცუნცრუკაძესთანა ყმაწვილი კაცი არა გეყავს, ქართველებისათვისაც ძალიან გული შესტკივა და... უნდა ვეცადოთ, რომ საზოგადო კრებებზე თეთრი კენჭები ეუშოვოთ, რომ წინ წაეწიოთ. მაშინ ჩვენი წრის საქმე კარგად იქნება... წამოიძახა ფლავაშვილმა.

წამოხტა მურზაშვილი... უნდა კიდევ «გააერცელოს ხმა», რომ იმ დაწესებულებაში, სადაც ჩვენ ვმსახურობთ, დიდი

რამ სახლი არის საჭირო და მოგვცენ ნება იმის აშენებისა-
 საქმეში ჩავერევი, დამრჩება ცოტაოდენი მაინც და შემწეო-
 ბას მივცემ თქვენს წრეს.

აქ, წვერები აირივნენ... აღარა ისმოდა-რა.

ყოველთვის ასე ხდებოდა, ვერ იქნა და დანარ. ენები არა
 თანხმდებოდნენ ამ დამწესებლების „მოსახრებაებზე“...

გაიარა სამმა თვემ... მეტი ილაჯი აღარ იყო და ეს სამი
 დათანხმდა დანარჩენ თორმეტთან...

შეეადგინეთ წესდება. გავგზავნეთ დასამტკიცებლად.

სანამ დამტკიცებას მივიღებდით, დაედიოდით ისევ იქ და
 ელაპარაკობდით ძმურად ხან ამ მთისას, ხან იმ მთისას.

ერთ საღამოს, ყველაზე აღრე შევიკრიბენით: მე, ცუნ-
 ცრუკაძე, ფლავაშვილი და მურზაშვილი. საქმე არა გეკონდა-რა
 და დაეიწყეთ „ჩვენ წვერებზე“ ლაპარაკი.

— ბ-ნი გასწორაძე მე ცუდი კაცი მგონია; ერთი სი-
 ტყვიით, ყველა საქმეს ჩაგვიშლის; მესამე მუხლში ჩემი სი-
 ტყვეები იმის მოწყალებით არ ჩაუმატეს—სთქვა ფლავაშვილ-
 მა.

— ეჰ, გასწორაძე რა არის. შენ მართლაძე სთქვა! იმის
 ბრალი არ იყო ჩემი საქმის ჩაშლა... მესამე მუხლშივე, რომ
 მინდოდა ჩამემატებინებინა? უპასუხა მურზაშვილმა.

აქ წამოდგა ცუნცრუკაძე და მეტად სერიოზულად დაი-
 წყო: მე არც ერთი წვერთაგანი არ მომწონს, გარდა ყურყუ-
 ტის და ტეინთხელაძისა. ამათ რასაც ვეტყვი—დაიჯერებენ
 და თუ დამეთანხმებით, მე კარგი რამ მოვიგონე: რადგან ჩვენ
 სამსახურის ხალხი ვართ... არა გეცალიან, წვერობაზე მად-
 ლობა მოვასხენოთ—გამოგვრიცხონ და თავისი პროექტით
 თითონ გაიძღონ მშვიერი კუჭები; ჩვენ-კი ჩვენ პროექტებს
 შევეუდგეთ. ყველანი დათანხმდნენ.

ამ დროს ხარი დააწყარუნეს...

შემოვარდა მართლაძე გახარებული და კრებიდამევე გვა-

ჩვენა დამტკიცებული წესდება (მართალაძე მდივანის მაგიერ გვეყენდა და ისა ცდილობდა წესდების დამტკიცებინებას).

მივიღეთ ზრდილობიანათ, კარგათ და შევატყობინეთ რომ, რადგან დრო არა გვაქვს—მონაწილეობას ვერ მივიღებთ... მართალაძეს გაუშრა პირში ნერწყვი. გამოგვეთხოვა და წავიდა.

დარჩნენ მეგობრად: ცუნცრუკაძე, ფლავაშვილი, მურზაშვილი, ტვინთხელაძე და ყურყუტი.

ფლავაშვილს და მურზაშვილს შეუსრულდათ თავიანთი ნატვრა: ცუნცრუკაძე ეცადა, ჯამაგირება მოუმატეს და დიდი სახლის შენებაც დაიწყეს. ამ შენობას არც ცუნცრუკაძე ემღურებოდა: ვინც თათლში ხელს ურევს, რასაკვირველია, იმანვე უნდა გაილოკოსო, ამბობდა ხოლმე „ეს საზოგადო მოღვაწე“ პირი.

ცუნცრუკაძე სხვა ნაირათაც არის კმაყოფილი: ფლავაშვილი და მურზაშვილი ტვინთხელაძის და ყურყუტის დახმარებით და ცუნცრუკაძის სოფლელი ძმის სადილ-ვახშმების შემწეობით და მხარ მიცემით—აგროვევენ თეთრ კენჭებს, რის მოწყალეებითაც ცუნცრუკაძე ისე ურევს საზოგადო ფულის ყუთში ხელს, როგორც... რიკოვი...

ზევით ვსთქვით სახლის შენება დაიწყეს მეთქი... დაიწყეს და კი არ გაათავეს... თუმცა გაათავეს, პატრონებს კიდევ ჩააბარეს, მაგრამ მაინც ჯერ ისევ კედლებიც ახალი უნდა, ქერიც, შიგნეულობაც (ამას ახალ-ახალი ხარჯი ამტკიცებს)...

აი, პოლიტიკა რა არის!!

სწორეა და მოწამეცა ვარ: ანთიმოზ გოგლიჩიძე.

ღვინო და სიუჟარული

გამოწრუტული ღვინის ბოთლის ისტორიას მე ვაძარბებ სიუჟარულის ცხტორაასთან და თუნდ სულელი დამიძახეთ, თუნდ ტუტუფი, მანინ ამ შედარებაზე უარს ვერ ვიტყვი, რადგან... რადგან... მე ეს მართალი მგონია.

აი თქვენ თითონ იფიქრო. არ შეგინიშნავთ, რომ პირველი სტაქანი ღვინო უფრო გესიამოვნებათ და კარგათაც მოქმედობს თქვენს გამოგნებაზედაც და გულზედაც (სიმსიარულზედაც კი)?

ეს შეგინიშნავთ! არ შეიძლება არ შეგინიშნოთ ისიც, რომ უბემრადობის და უპირიფასისი კაცნა პირველი კაცნაა!

მაშინისათვის არა ვნდობლობა რაც-გი შეიძლება სშირად გაკიეოროთ პირველი სტაქანი ღვინოც და პირველი კაცნაც?

ზუსტად გვგონია, რომ რაც უფრო სშირად გაკიეორობთ ამ პირველებს—უფრო კარგი იქნება, მაგრამ იმას-გი ვიკარგებთ, რომ პირველი სტაქანია გემრადელი, პირველი კაცნაა ტკბილი, შეძვეებული-გი... ეს სთამ თქვენც იცით.

რაც უფრო დიდხანს ვსვამთ ღვინოს, მით უფრო ნაკლებ ვგრძობთ მის გემოს; რაც უფრო სშირად ვკოცნით, მით უფრო ნქარა ეკარგება გემო—გვბუნდება.

მოძეტებული ღვინო, მოძეტებული კაცნა ერთნაირად მოქმედობენ: თავბრუს გასხვევენ. მაგრამ ბუნურიც ის, ვინც უკანასკნელ წკეთამდე არ დასტლის ღვინის ჭურჭელს; ნეტარ არს იგი, ვინც კაცნას „ისაია მსიარულამდე“ არ მიიუფინს.

როდესაც ღვინის ჭურჭელს გამოხედვით, მიშინ იგრძნობთ, რომ თავი დაგიმძიმდათ, ეურებს ბეუილია გაქვს, თავი გტკივათ, შირი გაგიუგეშურდათ... მაგრამ გვიინდა. ეს იგავია, რომ ცოლი შეირთათ და როდესაც ასტყდება „ეკალ-მაყალი“ ცოლ-ქმარ-სიდედრ შუა, მიშინ სწველიდეთ დავსა თქვენის ქორწინებისას... გვიან არის.

როდესაც ანგარიშს მოგიტანენ და ჰხედავთ, რომ ერთი-ორად დაუჭდეკიათ თქვენ ვისურსე, მძიმეთ ამოიხეხეშებთ, ფულის მიცემა გიძნელდებათ. როდესაც თქვენი მეუღლე, ღვთის წყალობით, ერთის მაგიერ ტყუილ-ტყუილს გილოცავთ — განა არ გიძნელდებათ მათი შესახვა? თუძვა რაიოდუ წამატებული მანათის გულისხთვის, ან რაიოდუ ტყუილის გულისხთვის არა ღირს რომ გაცმა იხსუბოს, მაგრამ... აკი მუც აჩას გეუხსუბით!!....

ქა! ბატონებო, ერთი სიტყვით, სჯობია ცოლები არ შეინართოთ; მაგრამ არც-კი ცუდი იქნება ძალიან არ დაითროთ.

სწორეთა: ა.—ძე.

მ რ ი „მ ა მ რ ა მ“.

კოლა იყო ახალგაზდა, წამოსადგეი და ღამისი ღიზა იყო ახალგაზდა, წამოსადგეი და ღამისი. კოლას უყვარდა ღიზა, ღიზას უყვარდა კოლა, მაშასადამე ერთმანეთი უყვარდათ.

მაგრამ... რა საძაგელი სიტუვია ეს მაგრამ... კოლას ქონდა პატარა ადგილი დიდ სასამართლოში: ჟამაგირი ქონდა თვეში 17 მან. სამი აბაზი და რაი გრომი.

ღიზა ისე ღარბი იყო, რომ მავთულის ტურნიურის-კი ვერ ეუიღნა.

ბედი, თითქმის დასცინისო, ვერ აერთებდა იმით საუკუნო უღლით, მაგრამ... ხანდახან სიტუვა „მაგრამ“ კარგ სიტუვათაც გადაიქცევა ხოლმე... კოლამ გაიგნა ხანში შესული ქალი.

ღიზა გაიგნა იმ სასამართლოს უფროსმა, სდაც კოლა მსახურობდა.

კოლამ მიიღო უდიდი ადგილი“. სდაგომიც ისე მოიწყო, რაგორც ჰხურდა ხანში შესულ ქალს.

ღიზამ იეიდა მავთულის ტურნიური, კარსკეტი და... ევკლა, რაც-კი მოინდომა, თუძვა-კი კოლას უფროსი ეუიხსობდა ღიზას, რომ უკარსკეტოთ უფრო ღამისი ხარა.

ქსლა კოლა და ლიზა ბედნიერები არიან; სურვილი შეუსრულდათ: დაიწერეს ჟვარი, უყვართ ერთმანეთი და მადლობით ისხენიებენ თავიანთ კეთილის მყოფელებს: სამსახურის უფროსს და ხან-ში შესულ ქალს.

შექსპირი ამბობს: ყუველა კარგია, რაც კარგად ბოლოვდებათ, მაშასადამე ეს რომანიც კარგია, არა? N.

სიტყვა „მიღება“

სიტყვას „მიღება“ ძალიან იშვიათად ავცდებით, და თუ ავცდით — ძნელია.

აბა ვითქვით: რომ ვიზადებით მიგვიღებს — ბებია, რა წამოვიზდებით მიგვიღებენ — სკოლაში; აქედამ რა გამოგვავცდებენ მიგვიღებენ სამსახურში. იქ რა მიგვიღებენ — მივიღებთ ჩინებს, ჭათამებს და სსკ., ამაში თუ დაგვიჭერენ მიგვიღებენ ვირის აბანოში. სამსახურში შესვლას და ფულების კრეფას მოსდევს რიგია — ან ურბო ცხოვრება. პირველ შემთხვევაში მიგვიღებს ყოველი პატროსანი ოჯახი, მეორეში — მიგვიღებენ ჯერ «დამურები», მერე მიგვიღებენ ბუნკლეკისთან. დასასრულ მიგვიღებს დედა-მიწა.

არ მიგვიღებენ არსად, არავინ, თუ დარბები ვართ; არ მიგვიღებს დედა-მიწა თუ მეტად „ძაღლებულები“ ვართ. X.

ზ ღ ა ზ ა რ ი

ერთმა კაცმა ბანკში იზოვნა ღილები და კაბასე (ჭულაჯა) დაიკრა. მეორემ იქვე იზოვნა, ეკალი და წარუდგინა ბანკის გამგობას განსასიღველად.

გაიარა წელიწადმა. ღილები აქწუდა ჭულაჯას და დაიკარგა, ეკალი-კი ესლაც უფროსების წინა ქეკს და სხსრეკენ, იკვლეკენ.

გაიარა კიდევ წელიწადის. პირველმა ჩაიფო ჭულაჯა, ბანკის გამგობისგან შეკერილი, მეორეს პერანგიც გაესადა.

ბანათლება ჩვენში და ამერიკაში

* * * ამერიკელებმა ათასი რამ მოიგონეს და იმიტომ ეძინან ჭკვიან, განათლებულ ხალხს. მაშ, თუ მოგონებებით ზისსება განათლება, ან განათლებით მოგონებანი, ჩვენ ძალიან, ძალიან განათლებულები ვყოფილვართ: ამერიკაში ეკლავფერს კაცები იგონებენ, ჩვენში-კი—ქალები. ამის დასამტკიცებლად საკმაოა ორი, სამი ფაქტი მოვიყვანოთ.

სადღაც, ბაღში, სვირნობის დროს, ერთ ქალს ტურნოში შესძროძია თავი. თავს დაუნახავ, რომ დიდ განსაცდელში ჩავარდა და რაც ძალი და ღონე ჭჭონის სტკერების აქეთ-იქით კედლებს. თავის ასეთ უწესო ქცევას, ისეთ გაჭირებაში ჩაუგდია ქალი, ისე აუღელვებია, რომ გულ შემოჭურია. მისცვივინია ხალხი, გაუსსნიათ ჭანხი (კორსეტი), ამოუღიათ მუშუების მაგიერ რომ ბაშბასწყობია (ცალ მხარეს ბამბის მაგიერ ხელსახოცი სდებია), უნახავთ, რომ ქალს გულში არაფერი ჭჭონის თავისი თავის დამამშვენებელი იარაღების შეტი. მერე მისკედრიდან მიზეხს და... ვირთავკა დაუსჯიათ...

ამის დამსწრე ქალებს მაშინვე მოსკლიათ აზრათ, რომ ტურნოები ისმარონ საჭირო ნივთების საწეობ ალაგად. თავიანთი აზრი კიდევ განუსხარციელებიათ:

ერთ ქალს ძალიან ოფლი სცოდნია და სადაც მიდის—ტურნოში იწეობს: დუსებს, საცვალ ფერჩატკებს, მარაოს, ჰუდრს და უმარდის.

მეორე დიდებუში დადის ორშაბათობით და იქიდან, რომ ბრუნდება—დროს ატარებს მუშტაიდში. დროს გატარება, რომ იაფათ დაუჯდეს, შინადამ მიაქვს ტურნოებით: სამოკარი, ლორი წითელი კერცხები და სხვ....

ალბად კიდევ ბევრ რამეში გამოიყენებენ ტურნოებს. მაშ ეს განათლება არ არის?

მკითხველო! როცა შენს დამას მისდევდა სასეინოდ, უს-

თუოდ დაფიქრდი და მისკდი — რა უწევია ტურნაურმა და, თუ კერძო მისკდე, ზარდაზირ გამოჰკითხე და შეკვატეობანი. ამათ დად სარგებლობას მოუტან ქართველ ქალებს.

სუტ-ენიანი.

ესართობი

მეზობელი გუბნება მეზობელს, ვიღაც კაცი ჰკონიდა შესწავლას.

გაწიწმატებული ქალი მიჰკარდა ენა-ჭარტალას: აბა როდის შეგინიდა?

— უი, უი, უი! შეჩემის თვალთ არ დაგინახე!

— აბა საიღამ დამანახავდი, რომ... თანჯარასე თვარდა იყო ჩამოთვარებული!

ადვილი გამოსაცნობია.

კოვრი — დაეცა.

გარყენილი — დაეცა.

ახალ მოდის ქალი მიბმანდება გამოპრანსულ კაკალებთან სული-სულ გაურდილი:

— უმწვილო! მაგრა, მაგრა დამიჭირეთ, არ დავეცე.

— ჩემა შემწეობათ რომ დაეცე კიდეც — არა გიშავს-რა: ისე ნელ-ნელა დაეშევი, რომ ვერც კი გაიგო, როგორ მოგინდა.

შეუვარებული შვილი სახლკაც ქორწინების ნებას მოსურებულს, გამოცდილს მამას.

— მამა, ძალიან უყვარვარ!

— ისე, როგორც უკვლავ, ვისაც-კი გ'დაქვდება.

— ძალიან განათლებული!

— ვინც ციხეში იყო ტრიანტის ბაღებში, ვიხსენებ და იცის რომელი სამსახურის ჩინოვიკს რა ფორმა უნდა ეცვას.

— რა კეთილი გულისაა: ნაცნობებს, მეგობრებს ძალიან პატივს სცემს.

— განსაკუთრებით იმით, რომლებიც ღამისკენი ჰქონია.

შვილს გაუწედა ილაჯი და გაცხარებით უთხრა: მამ რა ვქნა მამა? ესლანდელი ქალები სულ ესეთები ხრან!!

მამამ პასუხი ვეღარ მისცა.

ფიქრები და შენიშვნები.

* * ბევრი კაცია, რომელსაც საშინლად სძულს ტყუილი, მაგრამ თუ მართალი უთხარით—კარებს გინკენებს.

* * უფროს ერთი (იკრია) ქადაგებს სათნობებს. ესენი ჰგანან ბრილიანტიებს, რომელთაც ყუთები საცხე აქვთ ბრილიანტებით, მაგრამ თავის დღეში არა ხმარობენ მათ.

* * საკვრველი საქმეა: დედა-მინა რკალია და ძალიან ფართო, ცა ძალიან მძლავრია, გონება „ღრმავა“ — მას ადამიანი უოველთვის და უკვლავან რად არის შევიწროებული?

* * ქალ-ვაჟი ბტუეებენ ერთმანეთს — სისულელე ორივეს.

* * ქორწინება ხანდა-ხან მეუღრო ადგალია ქარიშხალში, სშირად-გი ქარიშხალია მეუღროებაში.

* * ტანცობა გაიჩქვავა სიგიჟისაგან იმითი, რომ პირველი იმდენ ხანს ვერ გასტანს, რამდენ ხანსაც მეორე.

* * სშირად პატარა საქმიდგან დიდი საქმეები გამოდის: ბანკის სეკრეტარს აქვს ათი თუმანი ჯამაგირი. სხვა არავითარი ქონება არა აქვს. ჯამაგირის გარდა ბანკიდან არაფერი შემოსავალი არა აქვს; ეს გამგეობამაც იცის. მაგრამ ეს როგორა ხდება, რომ თვეში 200 — 300 მან. ქალაღში აგებს და ბანკშიაც ცოტ-ცოტა შეაქვს,

* * * კაცი თუ იშრომებს თავით-ვი არა— გინდ ფეხებით, მუღამ ლუგმას იშოვნის. ჩემი ნაცნობი სამსახურში ვკრას აკეთებდა, მაგრამ თავის უფროსის ქალს ეტანტაებოდა და... სტოლონანაღნიკობა მიიღო.

* * * მდიდარი ტუტუფი იმითი გაიჩქვას ღარიბი ტუტუფისაგან, რომ შირველის სისულელეს უფრო ჩქარა დავისასავთ.

„თ ე ა ტ რ ი ს“ გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ღაპარში მკირფასი დრო. კვირა საღამოს, ბანკის თეატრში, „კავსაკების“ წარმოდგენაზე. დასჯილი საზოგადოება.

მუჰთად მასწავლი ქალებს „ამურ“-ების დაჭერას, ვაჟებს— სასწავლებლებიდან გამოქცევას. ხორო.

ც ა რ ც ი. ხუთი-ათასი ფუთი ბანკის საქმეების გასათეთვლებლად. საწვობი არის დირექტორების ენის ძირში.

საპირდა მოსაკლელად ქისა დასიებულის და გულნატკენის 50 წლის ბაღლისათვის— გამოცდილი, დარბაისული 16—20 წლის ქალი: წერწეტი, თვალ უუუუნა, შავ-თვალ წარბა და ცქრიალა.

ადრესი: საღაც გინდათ.

ასწავლიან ძალიან ჩქარა და «კეთილ-სინიდიისიერად» ყმწვიღებლებს— ვაჟების კისერზე ჩამოკიდებას, გასაგრილებელი სასმელების სმას (არყიდამ დაწეობილი კონიაკამდე) და ყველაფერს, რითიც-ვი შეიძლება კარგი სარგებელი მოატანინონ სიღამასკეს.

ბალი „უგრობა“

გამოჩენილი მძიმე შეიძლება უწოდოთ იმას, ვინც იაკობ სვიმონიძეს ჩააგონებს, რომ თუ გიყვ თავისი თავი ჭკვიანი ჭკობია, — არც სვიმონიძე აკლებს: თავისი თავი რეცენსენტი ჭკობია.

მკაწრილი პაცი უნივერსიტეტ შესრულებული ეძებს სამუშაოს უსაქმობისაგან დასუსტებული კუჭისათვის.

ადრესი: ენლანდელი დრო.

ლ ე კ ვ ე ბ ი სსკა-და-სსკა ჟიშისა და ჩამომავლობისა, რომლებიც სსკა-და-სსკა ხმაზე იუფეუბიან, ათას ნაირ ოინებს აკეთებენ და მიმომსვლელთ გზას არ აძლევენ—ისე იდებინ ძალიან იაფად. რამდენიც გნებავთ... იშოვნით „ოკრუენი“ სუდის და „დვორიანსკი სობრანიეს“ წინ. შეიძლება ნახოთ დიდის 7—12 და სალამოს 6—12 საათამდე.

მ ი ე ც ე მ ა ნახვარი იმ ქრთამებისა, რომლებსაც ამის შემდეგ ავიღებ იმას, ვინც არ იტყვის, რომ მე თორმეტ თუხინიანი ხალი „მანუქა“ საათ. სააზ. —ოკმა, კობო, ყველი, ჭაშნიკები „მიფეუქაშა“ მრავალმა და სსკ. და სსკ. მოლაპარაკება შეიძლება დიდის 10—2 საათამდე. ბანკი ბ. ე.—რიძე.

შეაწვილი ქატი რომელსაც უმსახურნი ოთხას სსკა და-სსკა დაწესებულებაში (სამსახურში) და კარგად შეუსწავლია ყველაფერი, რაც კი საჭიროა მუქთა-ხორასათვის — ეკებს ადგილს ვინმე მდიდარი ქალის გულში. იგივე ჭეიდის ჯობების მოსაჭრელ მაკრატლებს და მუქთად ასწავლის ამ ოსტატობას.

აღრესი: გოლოვინის პროსპექტზე.

5000 მანათი. მიეცემა იმას, ვინც ბანკის კრებებზე დაამტკიცებს, რომ ბანკის (და არა ბანკის გამგეობის წევრის) სასარგებლოა ახალ-ახალი სახლების აშენება და რემონტი. მიეცემა ასეთივე ჯილდო იმას, ვინც დაამტკიცებს, რომ ბანკის სამუშაოს გატემა ვაჭრობით (торг) —ზარალს მოუტანს ბანკს და —ლისაგან ჩაჯიბული-კი—მოგებას. მ. ა. —ბელი.

უ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს, ვისაც-კი შეუსწავლია კანონიერად აწაზნა, ჩაჯიბვა, ვისაც შეუძლიან ჩვენი ცოდობის არ გამუღავნება—მზათა გვაქვს ადგილი, სამსახური. ვისაც ამ პირობების შესრულება არ შეუძლიან—ვდეკნით მათ და ამისათვის... ნუ მოკვლენ.

ბანკის გამგეობა.



ბაჟითებს, რომლებიც ჩემს სტამბაში იბეჭდებიან, მე ვბეჭ-
 დავ იმაზე მეტს, რასაც რედაქტორები, ანუ გამომცემლები მიზა-
 ნებენ, ამისთვის ვატყობ საყოველთაოდ, რომ მე უფრო იაფად
 ვუთმობ მსურველთ, ვიდრე იმ გაზეთების გამომცემლები. თუ,
 ვინცნაა, გაზეთის ბეჭდვას სხვაგან გადაიტანენ და წლის ბო-
 ლომდე მის კვამლს ვაუგნავინ ჩემს სკლის-მომწერლებს—ამაზე ბოდიშს
 ვისდი. ამასვე ვატყობ ვიცების შესახებ.

ადრესი: სტამბა. ბაღთან:
 აზს. საკუთარ სახლებში.

უ რ ს ტ ა

ა. გ — ურს. იწერებით „თქვენი გვარი სრულიად მივაბეჭდით“. თუ
 ვერც ძალიან საჭიროა თქვენი გვარის „მიბეჭდვა“—ნებას არ გვიბოძებთ,
 რომ მარტო თქვენი გვარი დაბეჭდოთ და ლექსებს-ვი თავი დავანებოთ?

ბ. d — ეს. არა, ჩვენი რა ბრალია, რომ ადლი ლექსებზე გაბეჭ-
 დილია?!

ზ. ჩ — შეილს. „ქალო გნახე გაზის შექმედ და გავხდი ისე რო-
 გორც სედი“... ეცადეთ ნახოთ მზის შექმედ და ჩქარა შეგვატყობინეთ. თუ
 არა გეშველებაო—პავლოვსკისთან გსაგზავნი იქნებით.

კოლას. ვარგია, დაიბეჭდება.

ი. ნ — ძე. ცირილით ვერა გავაწიეთ—რა, იქნებ სრული უფრო
 გულში მოსახვედრი გამოდგეს. ჩვენთვის საჭიროა პატარა-პატარა მოთხრო-
 ბები.

ვ. ა — ძეს. მივლეთ. გმადლობთ. ჩქარა დაიბეჭდება „თეატრის“
 უკანასკნელი ნომრები გადავიხივეთ და გავიგებთ, როგორი წერილებიც არის
 ჩვენთვის საჭირო.

ო. — ლს. „ჩემა ვაზაფხულის ძილი“—სომხური ძილი იქნება და
 იქნებ „ნორ-დარმა“ დაბეჭდვა ქნას. «თეატრმა»—ქართული გაზეთია.

შ — ს. დიდათ, დიდათ გმადლობთ... სიამოვნებით დაბეჭდავთ.

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნაბიძგაძე.